სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

19/06/2026

MES 0 26 0000763263

ბრძანება

თბილისი

2026 წლის ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

,,ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტების „ე" ქვეპუნქტის, „ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი 2026 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 4 მაისის N524502 ბრძანების, „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის (N749951, 18/06/2026) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს 2026 წლის ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:
ა) GEOHER-26-182;
ბ)GEOHER-26-208.
2.გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ;
ა)ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში, მკვლევარის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება საგრანტო დაფინანსება;
ბ)ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება საგრანტო დაფინანსება;

გ)თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
დ)ვატიკანის არქივებში მუშაობის მოქმედი წერილობითი ნებართვა;
3.დაევალოს ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივლისისა;
4.დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ფონდი
შოთა რუსთაველის
საქართველოს
ეროვნული
მეცნიერული